კიდევ ორი ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 3 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (ლენინგრადი) 3:0 (0:0).

ლენინგრადი: ბელკინი, ბასკაკოვი, ტიხომიროვი, ლისტრატოვი, ვისოცკი, ხომუტოვი, აქსიონოვი (კუპრიანი), მოროზოვი, კუზიაევი, პეტროვი, დვორცოვი.

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი კ. დემჩენკო (მოსკოვი).

დაზვერვა და მოწინააღმდეგის სუსტი ადგილების ძიება თბილისელთა გეგმაში არ შედიოდა. გუნდმა პირველი წუთიდანვე სწრაფ ტემპში დაიწყო თამაში. ორივე გარემარბი - მესხი და მეტრეველიც თავისუფლად გადიოდნენ ფლანგებზე, ფორვარდებთან ერთად შეტევის აქტიური წევრები იყვნენ იამანიძე, გ. სიჭინავა და ჩოხელიც კი. ლენინგრადელთა საჯარიმო მოედანზე დროდადრო თავს იყრიდა ორივე გუნდის მოთამაშეთა დაახლოებით 70 პროცენტი, მაგრამ მასპინძელთა გამუდმებულ იერიშებს აკლდა მთავარი - კარში დარტყმა. ლენინგრადელებს ძალზე უჭირდათ ბრძოლა ტექნიკურად ძლიერ მოწინააღმდეგეებთან და დაცვაში ხშირად უხდებოდათ ჩამოსვლა თავდასხმის სამეულის მოთამაშეებს, მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში მეკარე ბელკინს დიდი შიში არ გადაუტანია. ერთადერთი დარტყმა მის კარში შეასრულა კალოევმა და ისიც მხოლოდ 37-ე წუთზე. ბურთი ოდნავ აცდა კარს.

ლენინგრადელები იშვიათად გადმოდიოდნენ მოპირდაპირე ნახევარზე, მაგრამ მათი ეპიზოდური კონტრშეტევიდან ორი მომენტი იყო ისეთი, რომლებიც სულ ადვილად შეიძლებოდა დამთავრებულიყო გოლით. ტიხომიროვი და აქსიონოვი პირისპირ შერჩნენ მეკარე კოტრიკაძეს და ამ უკანასკნელმა ფეხებში ჩახტომით შეძლო მეტად სახიფათო მდგომარეობის ნეიტრალიზება.

მასპინძელთა ფორვარდების ზედმეტი “მშვიდობიანობის” წყალობით პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა და მხოლოდ თამაშის მეორე ნახევარში გამოიჩინეს მათ საჭირო აგრესიულობა. ანგარიში გახსნილ იქნა მესხის მიერ 63-ე წუთზე. მან კარგად შეარჩია ადგილი ცენტრში და მაღალ ნახტომში თავით მიწვდა ბარქაიას მიერ მოწოდებულ ბურთს. ლენინგრადელთა ნახევარმცველმა ოდნავ შეუცვალა მას მიმართულება და ბელკინის ჩახტომი ამაო გამოდგა - 1:0.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბარქაია კვლავ საუკეთესოდ გავიდა მარჯვენა ფლანგზე, ზედ პირით ხაზზე ატარა ბურთი და ზუსტად მიაწოდა კარის წინ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ კალოევს. ეს სწრაფი კომბინაცია დამთავრდა მეორე გოლით სტუმრების კარში - 2:0.

მესამე გოლი გატანილ იქნა მატჩის დასასრულს. მეტრეველმა გათამაშება დაიწყო მინდვრის სიღრმიდან. მისი საჯარიმო მოედანთან მიახლოებისას მესხი სწრაფად გაიხსნა და პარტნიორის გადაცემა დაუყოვნებლივ დაამთავრა კარში დარტყმით. ბელკინმა მოასწრო რეაგირება დარტყმაზე, მაგრამ ვერ გააჩერა ხელში ბურთი და ბარქაიამ სამამდე აიყვანა ანგარიში.

ე. ტაბუცაძე.

“ლელო”, 4 ივნისი, 1963 წ.